PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი“ (ქ.თელავი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **თამარ რემიშვილი**
წევრი: **ნანა ვერულაშვილი**

(თბილისი, 2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **12.11.2021 N1218623** ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფმა მიმდინარე წლის 3 დეკემბერს განახორციელა ვიზიტი ქ. თელავში შპს "საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში" (შემდგომში კოლეჯი) „ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა კოლეჯს და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი **(იხ. დანართი1).**

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის“ მართვის პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად, როგორც თბილისის, ასევე თელავის განყოფილებაში შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. თელავის განყოფილების სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს:თელავის განყოფილების მენეჯერი, სასწავლო პროცესის სამსახურის სპეციალისტი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი, დამხმარე პერსონალი (დაცვა, დამლაგებელი).

საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით, რომელიც დამტკიცებულია შპს „საზოგადოებრივი კოლეჯ ფანასკერტელის“ დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება 2021 წლის 5 მარტის #820 და 2021 წლის 16 აგვისტოს #3709 ბრძანებებით) განსაზღვრულია ყველა მათგანის მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

დუკუმენტიდან ჩანს და ასევე მათთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი და ხარისხის მართვის სპეციალისტი ანგარიშვალდებულნი არიან თელავის განყოფილების მენეჯერის წინაშე, ხოლო მენეჯერი, თავის მხრივ, პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორის წინაშე და მასთან შეთანხმებით იღებს კონკრეტულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გადაწყვეტილებებს. კოლეჯის საქმისწარმოება მიმდინარეობს დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (e-Flow).

ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ექსპერტების მიერ შემოწმდა კოლეჯის მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი წიგნადი ფონდი, შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება და განხორციელდა მათთან გასაუბრება პლატფორმა zoom-ის მეშვეობით. ვიზიტის დასასრულს ექსპერტების მიერ მოხდა მიგნებების გაცნობა კოლეჯის წარმომადგენლებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ გარემოში.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობი რეკომენდაციები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმავითარებელი რეკომენდაციები:

2.2.1.3. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს პერმანენტულად ჩაუტარდეთ ტრენინგები კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებების მიმართულებით;

2.2.1.1. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ხელშეკრულებები გააფორმონ სხვა ფარმაცევტულ კომპანიებთანაც კახეთში პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.

2.4.1.5 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია შეთანმებას თან დაერთოს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 20 ერთ მიღებაზე და 20 მეორე მიღებაზე, სულ 40 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულებაში ასევე მიეთითოს კონკრეტული მოდულის რომელი სწავლის შედეგი ხონხორციელდება პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორთან;

ასევე, გასწორდეს უზუსტობა დოკუმენტში „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“ გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და თანმაშრომელთა მოვალეობებიდან წაიშალოს „პროგრამული აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესის განხორციელება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2021 წლის 4 მარტის N 787 ბრძანება, ცვლილება პროგრამაში: 30/06/2021 N3001 ბრძანებით. 30/10/2021 N6536 ბრძანებით.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თელავი, ლესელიძის ქ.N1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	სტუდენტთა ზღვრული რეოდენობა: 40 განხორციელების ფორმა -მოდულური მის:ქ. თელავი, ლესელიძის ქ.N1
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული**	სრული	მეტწილი	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული**	სრული	მეტწილი	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული**	მეტწილი	მეტწილი	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი**	მეტწილი	ნაწილობრივი	

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

ქ.თელავის განყოფილებაში საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამის(შემდგომში პროგრამა) დამატებასთან დაკავშირებით შპს „საზოგადოებრივი კოლეჯის ფანასკერტელის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით - „მიზანშეწონილობის დასაბუთება საგანმანათლებლო პროგრამისათვის - ფარმაცია (სააფთიაქო)“ და ასევე კოლეჯის ადმინისტრაციასთან განხორციელებული გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ისინი დაეყრდნენ 2018 წელს კოლეჯის მიერ ჩატარებულ კვლევას. აღნიშნული კვლევა ეფუძნება რაოდენობრივი მონაცემების მეორად ანალიზს და გამოყენებული იყო ავტორიტეტული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები. კვლევაში საუბარია ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კვალიფიცირებული სპეციალისტების მზარდ მოთხოვნილებაზე ფარმაცევტული მრეწველობის განვითარებისა და მზარდი ფარმაცევტული ბაზრის პირობებში, პროგრამის მნიშვნელობაზე, მიზანზე და როლზე ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების სფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ ფანასკერტელის „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ და დირექტორის 2021 წლის 6 თებერვლის N319 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება შეესაბამება კოლეჯის მისიას და ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების დამატება (თბილისის, თელავის განყოფილება), რაც ასახულია ასევე 2021 წლის სამოქმედო გეგმაში ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატება (ქ.თელავი). თელავის განყოფილებაში საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცის (სააფთიაქო) განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ერთ-ერთ არგუმენტად კოლეჯის წარმომადგენლები ასახელებენ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს (90%) წინამორბედი პროგრამის „ფარმაცევტის თანაშემწის“ ფარგლებში, ასევე ქ.თელავის განყოფილების ადამიანური რესურსის მზაობას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად, საზოგადოების მხრიდან მაღალ ინტერესს, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსის არსებობას და შესაბამის პრაქტიკის ობიექტებთან (შპს „გეფა“) გაფორმებულ მემორანდუმს/შეთანხმებას.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ექსპერტთა შეფასებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტთან ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით , რომელიც დამტკიცებულია შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის“ დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება 2021 წლის 16 აგვისტოს N3709 ბრძანებით). წესი ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის“ დირექტორის 2021 წლის 6 თებერვლის N319 ბრძანებით, შევიდა ცვლილება 2021 წლის 30 ოქტომბრის N6524 ბრძანებით). მეთოდოლოგიის მერვე მუხლით განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომლის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, დაწესებულების რესურსები და საჭიროების შემთხვავაში პარტნიორი ორგანიზაციის შესაძლებლობები.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით მხედველობაში მიიღება ასევე პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი პრაქტიკული კომპონენტიც. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია ის შემთხვევაც, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი ნაწილდება ყველა პროგრამაზე „B გარემოში საათების განაწილება პროგრამების მიხედვით“.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს B გარემოს გამტარუნარიანობის დასაბუთება, დოკუმენტის შესაბამისად B გარემოს დატვირთვა მოდის მხოლოდ სამ პროფესიულ პროგრამაზე: საექთნო განათლება, აღმზრდელი და ფარმაცია დამატების შემთხვევაში. პროგრამაზე „საექთნო განათლება“ წარმოების დროს 84 პროფესიული სტუდენტი სწავლობს, პროგრამაზე “აღმზრდელი“ 21 პროფესიული სტუდენტი, ექსპერტთა შეფასებით პროგრამის „ფარმაციის“(სააფთიაქო) დამატების შემთხვევაში B გარემო უზრუნველყოფს სამივე პროგრამის შესაბამისი მოდულების განხორციელებას.

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამა განხორციელდება შერეული სწავლების ფორმატში, კერძოდ თეორიული კომპონენტი განხორციელდება დისტანციურად, სწავლის შედეგების დადასტურება კი მოხდება კოლეჯში.

კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციასთან შპს „გეფა“(20/პ 01/06/2018) და შეთანხმებები, აღნიშნულ მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ (14/პ 05/12/2018 და 23/02/2021), რომლის მიხედვითაც შპს „გეფა“ აღნიშნული მემეორანდუმით იღებს ვალდებულებას, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში მოემსახუროს კოლეჯის 200 პროფესიულ სტუდენტს.**(იხ. დანართი 2)** შპს „გეფა“-ს წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ შპს „გეფას“ კახეთის რეგიონში აქვს 12 აფთიაქი: თელავში - 4 აფთიაქი, გურჯაანში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- 3, ახმეტაში -1, ყვარელში -1, ლაგოდეხში -1, წნორში - 1, საგარეჯოში - 1. აღნიშნული 12 აფთიაქიდან სასწავლო პროცესში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ 9 აფთიაქი. მითითებული აფთიაქები სტუდენტებს მიიღებენ 2 ცვლაში. 1 ცვლაში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა არის 2, ერთი აფთიაქი 1 სტუდენტზე მეტს ვერ მიიღებს (ევექსის კლინიკის შენობაში მდებარე აფთიაქი მცირე ფართის გამო), **ჯამში 34 პროფესიული სტუდენტი.**

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, 20 ერთ მიღებაზე და 20 მეორე მიღებაზე, სულ 40 პროფესიული სტუდენტი განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

ექსპერტების მიერ გადამოწმდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომლითაც სრულად მიიღწევა მოდულების ყველა სწავლის შედეგი.

პროგრამით გათვალისწინებული რეკომენდებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალის მიხედვით ექსპერტებმა მოახდინეს დათვალიერება, ასევე მოითხოვეს ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც წარმოდგენილ იქნა კოლეჯის მხრიდან.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული რესურსები (მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსები) სრულად უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და დარგობრივი კომპეტენციების ადეკვატურია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს ერთ არჩევით მოდულს - „მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები“ - 3 კრედიტის მოცულობით, რაც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. არჩევითი მოდული არ აღემატება ამავე პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის 20%-ს.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

ექსპერტთა შეფასებით პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2021 წლის 4 მარტის N787 ბრძანებით, რაც განსაზღვრულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის დასახელება „ფარმაცია(სააფთიაქო)“ ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy 09110-პ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (123 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 153 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კოლეჯის მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, მოდულები და სასწავლო გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით ;
- გასაუბრების შედეგებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ვებგვერდით-http://fanaskerteli.edu.ge/;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“;
- კოლეჯის მიერ შემუშავებული 2020-2025 ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია;
- პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, ფაქტობრივი გარემოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამის განსახორციელებლად ქ. თელავის ფართზე კოლეჯის განკარგულებაშია ერთი A სასწავლო გარემო 20 სამუშაო ადგილით , ერთი AC გარემო 20 ადგილით და ერთი B სასწავლო გარემო 20 სამუშაო ადგილით. B სასწავლო გარემო ამ პროგრამების ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 2 ან 3 კრედიტი (განსხვავდება პროგრამების მიხედვით). დაწესებულებამ მეტი სიცხადისთვის ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინა B გარემოს დატვირთვის ცხრილი. ცხრილში ნაჩვენებია, რომ B გარემოს გამტარუნარიანობა უზრუნველყოფს მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობის გატარებას. იმ სასწავლო კვირებში, როდესაც B გარემო დატვირთულია აღმზრდელის და ფარმაციის სტუდენტებით, სხვა პროგრამის სტუდენტები ამ გარემოთი არ სარგებლობენ. აღნიშნული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ კომპიუტერული კლასის დატვირთვა არ აღემატება 40 (ორმოცი) საათს კვირაში. ასევე აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლების პირობებში, შესაძლებელია ინფორმაციის ტექნოლოგიის / ინფორმაციული წიგნიერების მოდულების დისტანციურად სწავლება.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან, რომლის ფარგლებშიც შპს „გეფა“ს სააფთიაქო ქსელი იღებს ვალდებულებას პროგრამით გათვალისწინებული 8 პროფესიული მოდულის პრაქტიკული ნაწილის განხორციელებას:

1. მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება;
2. პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;
3. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში;
4. მომხმარებლისათვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
5. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;
6. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;
7. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
8. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;

ექსპერტთა მიერ შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ მემორანდუმს არ ახლავს მოდულის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, თუმცა ექსპერტების მიერ 23.02.2021 „გეფა“-სთან გაფორმებული შეთანხმების (იხ.დანართი 2) შეისწავლის შედეგად ირკვევა, რომ „კომპანია უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტებისთვის მემორანდუმში აღნიშნული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას კახეთის რეგიონში, რისი მატერიალური/ტექნიკური რესურსიც გააჩნია“.

წარმოების ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის 2 წარმომადგენელს პლატფორმა zoom-ის მეშვეობით, რომელთაც სიტყვიერად დაადასტურეს, რომ სრულად უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკას მატერიალური რესურსით.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს თან დაერთოს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 20 ერთ მიღებაზე და 20 მეორე მიღებაზე, სულ 40 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით , ასევე პრაქტიკის ობიექტის მატერიალური რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის, 20 ერთ მიღებაზე და 20 მეორე მიღებაზე, სულ 40 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.

არსებული გარემოებების გაანალიზების შედეგად დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ხელშეკრულებები გააფორმონ სხვა ფარმაცევტულ კომპანიებთანაც კახეთში პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის

პროგრამისთვის განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია - 4 (ოთხი) განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა არ აღემატება შრომის კანონმდებლობით დადგენილ ნორმას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები. პროგრამის განხორციელების მდგრადობის დასადგენად ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს მათი ჩართულობა კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. ექსპერტტა შეფასებით პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენცია უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გამომუშავებას და შეფასების კომპეტენციას.
ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს პერმანენტულად ჩაუტარდეთ ტრენინგები კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებების მიმართულებით;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად კოლეჯის დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული. ამავე დებულების თანახმად განსაზღვრულია მისი უფლება-მოვალეობები.
კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მისი პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება, ექსპერტთა შეფასებითარის პროგრამის ხელმძღვანელი არის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების ბიბლიოთეკაში განთავსებული „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია დაწესებულების როგორც მატერიალური, ასევე უმრავლესობა ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 მაგიდა და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის. ექსპერტების მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, ყველა მათგანი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში.ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტებმა კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის მართვის სპეციალისტთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დაადგინეს,რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას უზრუნველყოს სსსმ პირები სრული საგანმანათლებლო რესურსით, მოახდინოს მოდულების მოდიფიცირება და ადაპტირება მათი საჭიროების გათვალისწინებით და იმოქმედოს შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის“ სასწავლო პროცესის მართვის წესით, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აგვისტოს #3823 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება 2021 წლის 30 სექტემბრის N5021 ბრძანებით), რომლის მიხედვით საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას. მოდულის განმახორციელებელი სსსმ და შშმ პირს, იდენტიფიცირებული საჭიროების გათვალისწინებით, უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია პირის განსხვავებული მოთხოვნები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირებისთვის სწავლას-სწავლების, შეფასების, სასწავლო ინსტრუქციების, საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციას, სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, რათა პირი შეუფერხებლად იქნას ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

ამ ეტაპზე ქ.თელავის განყოფილებას არ ჰყავს ინკლუზიური განათლების განათლების სპეციალისტი, თუმცა კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს განყოფილება ამ კადრით. კოლეჯს გაწერილი აქვს მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უფლება მოვალეობები, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის პროცედურა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის სწავლისას და სამეწარმეო პრაქტიკისას ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას მოემსახურება.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტებმა შეაფასეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 9 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასურია, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს ბიუჯეტში გადასარიცხი წილი, პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, პრაქტიკის ბაზები, მასალა და ნედლეული, დიპლომის/დანართების მომზადება და მოგების წილი.

ექსპერტთა შეფასებით „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო რესურსი;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ბიუჯეტი;
- პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, კოლეჯის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/შეთანხმება;
- კოლეჯის ხელმძღვანელ პირებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს და კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2021 წლის 30 ოქტომბრის N6529 ბრძანებით შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის“ შეფასების სისტემის მექანიზმები. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ შემუშავების მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის როგორც პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის და შეფასების მიზნით. ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებას. დოკუმენტის გაცნობის და ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კოლეჯში განსაზღვრულია ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე, კრიტერიუმები და განმახორციელებლები. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები, ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები, რომლის შედეგებსაც დაწესებულება იყენებს მართვის პროცესების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული აქვს და კოლეჯის ვებგვერდზეა განთავსებული 2020-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას, რომელიც ასევე გაწერილია დროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტრატეგიაში გათვალისწინებულია ადამიანური რესურსის, მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ინდიკატორები და მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა.

ხარისხის მართვის მენეჯერის ვალდებულებაა გაანალიზოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები და პროცესის გაუმჯობესების თაობაზე რეკომენდაციები გადასცეს დაწესებულების დირექტორს რეაგირებისათვის. პროცესების შესაბამისობის დასადგენად კოლეჯში გამოიყენება სპეციალური ფორმები. დაწესებულებაში შემუშავებულია ონლაინ კითხვარები: პერსონალის კითხვარი, პროფესიული სტუდენტის კითხვარი ფორმალურ გარემოში სწავლების შესაფასებლად/ პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი დისტანციური სწავლების შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის კითვარი ფორმალურ გარემოში სწავლების შესაფასებლად/ პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების . მასწავლებლის კითხვარი დისტანციური სწავლების შემთხვევაში, პრაქტიკის ობიექტის/დამსაქმებლის კითხვარი. აღნიშნული ფორმები მტკიცდება დირექტორის მიერ. დისტანციური არხებით სწავლებისას პროფესიულ სტუდენტენტთა გამოკითხვა განხორციელდება შემდეგი მიმართულებით: ონლაინ სასწავლო პროცესის ორგანიზებულობა; ონლაინ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა; ონლაინ წარმართული მოდულის/სწავლის ცალკეული შედეგების შეფასება; პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება; პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ადექვატურობა წელიწადში ერთხელ. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული/წარდგენილი ონლაინ კითხვარებით. აღნიშნულის მიზანია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა.განხორციელდება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით, რომელთა მიზანიცაა კონკრეტული პროგრამისათვის იმ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის იდენტიფიცირება რომელიც საჭიროა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის დასასაქმებლად.

დოკუმენტში არის ჩანაწერი იმის შესახებ, რომ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით განხორციელდება საქართველოს სხვა პროფესიულ სასწავლებლებში, ასევე საერთაშორისო პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არსებული მსგავსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილების გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის და ცალკეული კომპონენტების ხარისხის განსაზღვრას მისის შემდგომი განვითარებისთვის. ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპეპიდან გამომდინარე ხარისხის მართვის მენეჯერი ახდენს საჭირო რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების იდენტიფიცირებას, მათ შეგროვებას, ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს/სამოქმედო გეგმას და ამზადებს ანგარიშს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით „ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და საუკეთესო ადგილობრივი გამოცდილების გაზიარებას.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, რაც ეფუძნება კონკრეტული დოკუმენტების გაცნობას და კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებას, ასევე პროგრამას, რომელშიც შესულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული რიგი ცვლილებისა, ხარისხის მართვის მენეჯერი, დირექტორთან კონსულტაციისა და პერსონალთან თანამშრომლობით, გააანალიზებს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს და შესაბამისად შედეგებს გამოიყენებს ყველა პროცესის გასაუმჯობესებლად. ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობაა წარმატების თუ წარუმატებლობის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება, წარუმატებელი ფაქტორების გარდაქმნა გაუმჯობესების გეგმად და საჭიროების შემთხვევაში შემდეგი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს ჩატარებული კვლევის შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, უკუკავშირის კურსდამთავრებულების/პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორობის, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული მასწავლებლების, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციის, საერთაშორისო პრაქტიკის ან სხვა გარემოების საფუძველზე;

აღნიშნული წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის დამტკიცების ბრძანება და სხდომის ოქმები, მათი შეფასებით პროგრამის შემუშავება და ცვლილება განხორციელებულია დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შეფასების სისტემის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- 2020-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიით;
- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით-დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება 2021 წლის 16 აგვისტოს N3709 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით;
- პროგრამის დამტკიცების ბრძანება/ბრძანება პროგრამაში ცვლილების შესახებ/ოქმი;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებულია სასწავლო გეგმა. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გეგმა წინაპირობებიანი მოდულის შემთხვევაში ითვალისწინებს დროის შუალედს განმეორებითი შეფასებისათვის, რაც ეთანხმება დადგენილ წესს და ასევე კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულ რეგულაციას. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯში შექმნილია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომლის ფარგლებშიც ქ.თელავის განყოფილების მენეჯერი და სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი კოორდინაციას უწევენ კოლეჯში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელნი არიან სასწავლო პროცესის ეფექტიანად ორგანიზებასა და მართვაზე პროფესიული სტუდენტების საჭიროების გათვალისწინებით. მათი მოვალეობაა ხელი შეუწყონ პროფესიული განათლების მიღების მსურველთა პროფორიენტაციას, ორგანიზება და მონიტორინგი გაუწიონ პარტნიორ ორგანიზაციებში პროფესიული სტუდენტების პრაქტიკას/სტაჟირებას, სტუდენტებს მიაწოდონ ინფორმაცია სიახლეების და პოტენციური დასაქმების ადგილების შესახებ; ითანამშრომლონ პროგრამის ხელმძღვანელებთან პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით, ორგანიზება გაუწიონ სტუდენტთა გამოკითხვებს, განიხილონ მათი განცხადებები და პრეტენზიები; კონსულტირება გაუწიონ პროგრამის განმახორციელებელ პირს/პროფესიულ მასწავლებელს კალენდარულ გეგმასთან დაკავშირებით და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყონ სასწავლო გეგმის მიხედვით ცხრილების შედგენა.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფენ სამართლიანი, კონკურენტული, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულებში მითითებული სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. როგორც კოლეჯის ხელმძღვანელთან და ხარისხის მართვის სპეციალისტთან გასაუბრებით ირკვევა, ისინი პერმანენტულად უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობა შედიან - სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და საგნის/მოდულის განმახორციელებელი პირი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში. კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანა განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

კოლეჯის მიერ გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სს „გეფა“ -სთან. მემორანდუმის მიზანია მხარეთა ერთობლივი საქმიანობით კოლეჯის ფარმაცევტული სპეციალობის სტუდენტთა ხელშეწყობა. „კოლეჯის“ და „კომპანიის“ ერთობლივი საქმიანობის სფერო და მოცულობა განისაზღვრება ურთიერთთშეთანხმების საფუძველზე, რომლის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის (შეთანხმებაში ჩამოწერილია მოდულების დასახელებები) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა მიერ შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ ხელშეკრულებას არ ახლავს დანართის სახით მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა ამ 8 მოდულის პრაქტიკული ნაწილის შედეგების დასადასტურებლად,
ექსპერტებმა შეისწავლეს 23.02.2021 „გეფა“-სთან გაფორმებული შეთანხმება (იხ.დანართი 2), სადაც ნათქვამია, რომ „კომპანია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის მემორანდუმში აღნიშნული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას კახეთის რეგიონში, რისი მატერიალური/ტექნიკური რესურსიც გააჩნია“.
ასევე “გეფა“-ს წარმომადგენელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სრულად უზრუნველყოფენ სტუდენტებს მატერიალური რესურსით.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია შეთანმებას თან დაერთოს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 20 ერთ მიღებაზე და 20 მეორე მიღებაზე, სულ 40 პროფესიული სტუდენტი.
ხელშეკრულებაში ასევე მიეთითოს კონკრეტული მოდულის რომელი სწავლის შედეგი ხონხორციელდება პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორთან;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალისა და ნედლეულის გამოყენების და ნარჩენების მართვის წესი, რაც შეესაბამება მოქმედ ნორმატიულ აქტებს და სრულად აღწერს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების დამუშავების სპეციალურ მეთოდებს და გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის დაწესებულებასთან, რომელიც ახდენს ნარჩენების უტილიზაციას.ექსპერტთა შეფასებით C გარემოში მოთავსებულია ცეცხლმაქრი, გაკრულია ლაბორატორიაში მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები სხვადასხვა ცხრილები და ტოქსიურ და აალებად ნივთიერებებთან მუშაობის წესები და სურათები. C გარემოში არსებული გამწოვი მოწყობილობა უზრუნველყოფს სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლის მინიმალურ უსაფრთხო გარემოს შექმნას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანთლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“;
- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/შეთანხმება;
- უტილიზაციის განმახორციელებელ დაწესებულებასთან ხელშეკრულებები.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯის მიერ შემუშავებულია და დირექტორის დირექტორის 2021 წლის 30 ოქტომბრის N6529 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის“ „შეფასების სისტემის მექანიზმები“. შეფასების სისტემის წესები განსაზღვრულია კოლეჯის დებულებითაც. აღნიშნული წესი ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი; შეფასების პროცესის/გამოცდის ჩატარება და შედეგების გაპროტესტება/აპელაცია; შეფასება პრაქტიკის ბაზა; სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოება და შიდა მონიტორინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტების სრულად ინფორმირების მიზნით, კოლეჯის ვებგვერდზე ატვირთულია პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დეტალურადაა აღწერილი შეფასების პროცედურა და მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულურ/დუალური) პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების თავისებურებები, რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს ამ სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მანეჯერი და რომელშიც, მასთან ერთად, გაერთიანებული არიან განათლების ვერიფიკატორი, დარგის ვერიფიკატორი და სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი. კოლეჯის მიერ შექმნილი დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს: ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას.

შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებია:

- ნამდვილობის დადგენა, ჭეშმარიტების შესწავლა
- შეფასების, შემოწმების პროცედურა
- სტანდარტის შედარება ფაქტებთან, არსებულ ვითარებასთან

შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
- პროცესის ვერიფიკაცია
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია

დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3.პირდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ შექმნილი დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი. წესის თანახმად შეფასების მტკიცებულებები (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები, ასევე ელექტრონული სახით წარმოდგენილი პროდუქტი, მატერიალური სახით წარმოდგენილი პროდუქტი და სხვ.) დაწესებულებაში ხორციელდება მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და ინახება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ შექმნილ დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ გაწერილი შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით დაწესებულება განახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ვერიფიკაციის ბოლო ეტაპი მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ყველა ხარვეზის კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორებას, რომელიც შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) მიერ იქნება გამოვლენილი. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შეფასების სისტემის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

X. თანდართული დოკუმენტაცია გამოგზავნილია დასკვნის პროექტთან ერთად.

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი-1გვ.
დანართი 2. შეთანხმება 2018 წლის 1 ივნისის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ N20/3 მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ -1გვ.

21.12.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: